ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

II კვარტალი, 2025 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის (შემდგომ - სამინისტრო) პრიორიტეტულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, დანაშაულის პრევენცია და სამართალდარღვევებთან მიმართებით ეფექტიანი ბრძოლა. სამინისტროს მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და დროული ინფორმაციის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს სამართალდამცავი უწყების საქმიანობის გამჭვირვალობას და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას.

2025 წლის II კვარტალში გაგრძელდა სამინისტროს მიერ გატარებულ საინფორმაციო აქტივობები ორგანიზებული დანაშაულის მიმართულებით.

გაშუქებული მასალები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა სატელევიზიო არხების პლატფორმებზე, ასევე, ინტერნეტ მედია საშუალებებისა და სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდებზე.

სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ, კამპანიის „ნარკოტიკი კლავს“ ფარგლებში, არაერთი აქტივობა განხორციელდა, მომზადდა და სოციალურ ქსელში განთავსდა 50-ზე მეტი საინფორმაციო ბანერი, რომელიც მოიცავდა ამოღებული და განადგურებული ნარკოტიკის შესახებ ინფორმაციას. მათ შორის, აღსანიშნავია ბანერები „მითი და რეალობა“, რომლებიც საზოგადოებას ამცნობს გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებების შესახებ რეალურ ინფორმაციას, თუ რა სიმძიმის დაზიანებებს აყენებს მათი მოხმარება ადამიანის ჯანმრთელობას.

აგრეთვე, მომზადდა და ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე განთავსდა ორი გრაფიკული ვიდეორგოლი, სადაც წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები ამოღებული და განადგურებული ნარკოტიკების შესახებ. აგრეთვე, მომზადდა სარეკომენდაციო ხასიათის 5 ვიდეორგოლი, სადაც სამინისტროს ექსპერტი დეტალურად განმარტავს საზოგადოებაში გავრცელებული ნარკოტიკების შემადგენლობებს და საუბრობს ჯანმრთელობის დაზიანების რისკებსა და მოსალოდნელ ფატალურ შედეგებზე.

აღნიშნული ვიდეო რგოლები განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

კამპანიის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გამკაცრებული კანონის და ზოგადად ნარკოპოლიტიკის თაობაზე ვრცლად ისაუბრა ტელეეთერის საშუალებით.

26 ივნისი - სამინისტროში ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრმა ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან გზებზე დეტალურად ისაუბრა. ამასთან, ყურადღება გაამახვილა აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით სახელმწიფოს მკაცრ პოლიტიკაზე.

ღონისძიებასთან დაკავშირებული ფოტო-ვიდეომასალა სამინისტროს ოფიციალურ არხებსა და სატელევიზიო ეთერების მეშვეობით გავრცელდა.

- <u>საკანონმდებლო ცვლილებები</u>

სამინისტროს ავტორობით, უცხოელისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწის, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლისა და თავშესაფრის პროცედურის ბოროტად სარგებლობის პრევენციის მიზნით, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მომზადდა.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამინისტროს ოფიციალურ არხებზე განთავსდა 20-მდე საინფორმაციო

ხასიათის ბანერი. ასევე, სატელევიზიო ეთერებით გავრცელდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის - ალექსანდრე დარახველიძის ვიდეო მიმართვები, რომლებშიც მან ვრცლად ისაუბრა კანონში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

- <u>საგზაო უსაფრთხოება</u>

4-5 ივნისი - საგზაო უსაფრთხოებისა და საპატრულო პოლიციის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები ქ. თბილისის ა(ა)იპ №104 ბაგა-ბაღისა და შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადა"-ს სკოლამდელ აღსაზრდელებს ესტუმრნენ. შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საკითხები: საგზაო ნიშნები, ზებრა გადასასვლელისა და შუქნიშნით სარგებლობის წესები. აგრეთვე, სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებმა დაათვალიერეს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მანქანა და აღჭურვილობა.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ (შემდგომ - მომსახურების სააგენტო) გააგრძელა საინფორმაციო კამპანია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, რომლის ფარგლებშიც, მომსახურების სააგენტოს სერვისების შესახებ მნიშვნელოვან საკითხებზე საინფორმაციო ბანერები და გრაფიკული ვიდეო-ინსტრუქციები მომზადდა და განთავსდა მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ გვერდებზე.

11 აპრილი - გრაფიკული ვიდეო ინსტრუქცია - როგორ დავჯავშნოთ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა.

16 აპრილი - გრაფიკული ვიდეოინსტრუქცია - ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები მართვის მოწმობის მისაღებ თეორიულ გამოცდაზე.

16 ივნისი - გრაფიკული ვიდეოინსტრუქცია - რა სახის სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლება ენიჭება A კატეგორიის (მოტოციკლი) მფლობელ პირს და რა ელემენტების ჩაბარება უწევს კანდიდატს პრაქტიკულ გამოცდაზე.

23 ივნისი - გრაფიკული ვიდეოინსტრუქცია - ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები მართვის მოწმობის მისაღებ თეორიულ გამოცდაზე.

26 ივნისი - საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა. აღნიშნული სიახლის შესახებ საინფორმაციო ვიდეო და ბანერი გამოქვეყნდა სამინისტროსა და მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ არხებზე, ასევე, ინფორმაცია გავრცელდა ტელევიზიებისა და სააგენტოების მეშვეობით.

- <u>საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი</u>

2025 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება ქალაქ ფოთში გაიმართა. ღონისძიებაზე წარდგენილი იყო სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური), სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომ - სასაზღვრო პოლიცია) აღჭურვილობა და ვერტმფრენი. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი იყო „ჭკვიანი ქალაქის“ კონცეფცია, მათთან მისულ პატარებს, დეპარტამენტის თანამშრომლები სხვადასხვა სახალისო აქტივობის შესრულებაში ეხმარებოდნენ. სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“- მა (შემდგომ - „112“) მოზარდებს სპეციალურად მათთვის შექმნილ თამაშებში მონაწილეობა შესთავაზა, საიდანაც ბავშვები ინფორმაციას იღებდნენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში. გარდა ამისა, ღონისძიებაზე მისულ მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ, „სიცოცხლის ზარის“ სტენდთან „112“-ში შესული რეალური ზარებისთვის მოესმინათ. ღონისძიების ფარგლებში, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ მოწყობილი იყო იმიტირებული შემთხვევის ადგილი, სადაც ბავშვებს მენტორი ექსპერტების დახმარებით უნდა აღმოეჩინათ ნივთმტკიცებები, მოეხდინათ მისი ამოღება და

სწორად დალუქვა, აგრეთვე, სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით შემთხვევის ადგილის დათვალიერება. მომსახურების სააგენტომ პატარა დამთვალიერებლებს იმიტირებულ ქალაქში უმასპინძლა და მათ ველოსიპედის მართვის მოწმობის ასაღებად სახალისო, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება შესთავაზა. ასევე, წარდგენილი იყო ისტორიული კუთხე, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ მომსახურების სააგენტოს სერვისების განვითარებას. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა აღჭურვილობასა და ტექნიკასთან ერთად საცოცი კედელი წარადგინა. სასაზღვრო პოლიცია წარდგენილი იყო, როგორც სანაპირო დაცვის, ისე, სახმელეთო საზღვრის დაცვის სპეცტექნიკითა და აღჭურვილობით, ასევე, ისტორიული ფოტო სტენდებით. სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა პატარა სტუმრებისთვის მოაწყო იმიტირებული დაცული სახლი და მათ სხვადასხვა შემეცნებით აქტივობები შესთავაზა. მენტორების დახმარებით ბავშვებმა მოირგეს დაცვის პოლიციის აღჭურვილობა და პოლიციელის ფუნქციას ასრულებდნენ. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ (შემდგომ - აკადემია) წარადგინა იმიტირებული თეორიული გამოცდა, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუმრები ვირტუალური ტირისთვის განკუთვნილ სივრცეში ინაცვლებდნენ. აკადემიის მიერ, ასევე წარდგენილი იყო სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ფორმების სტენდი.

ღონისძიების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად გაშუქდა ტელევიზიების, სააგენტოების, სამინისტროს ოფიციალური გვერდებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

- <u>ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი</u>

16 ივნისი - სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტისა და ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები, კამპანიის „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 400-მდე მშობელს, პედაგოგს, სკოლის დირექტორს, მანდატურსა და რესურსცენტრების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრის მონაწილეებს ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდათ ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევ მიზეზებზე, მის საზიანო სოციალურ და ფსიქოლოგიურ შედეგებზე, ხაზი გაესვა ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევების გამოვლენისა და დროული მომართვის, ასევე, შემდგომში თანამშრომლობის მნიშვნელობას.

შეხვედრების ფარგლებში გაიმართა ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ვიდეო-რგოლების ჩვენება, რომლებიც დაფუძნებულია რეალური მსხვერპლების ისტორიებზე და ასახავს ბავშვობის ასაკში ქორწინების მავნე შედეგებს.

23 ივნისი - კამპანიის „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში 700-მდე სკოლის მოსწავლესთან გაიმართა შეხვედრა. სკოლებში შეხვედრების პარალელურად, მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა, სწვეოდნენ პოლიციის დანაყოფებს და ადგილზე მიეღოთ ინფორმაცია ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფით შედეგებსა და ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილი დანაშაულებისადმი სამინისტროს მიდგომების შესახებ.

შეხვედრები დატვირთული იყო მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი აქტივობებით. პოლიციაში ვიზიტის ფარგლებში, ბავშვები გაეცნენ სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის სპეციფიკასა და რეალურ პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე, გამომძიებლების, ექსპერტ-კრიმინალისტებისა და კინოლოგების ჩართულობით სხვადასხვა სახალისო და შემეცნებით აქტივობაშიც მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნულ შეხვედრებში ნაჩვენები იქნა რეალური მსხვერპლების ისტორიებზე მომზადებული ვიდეო-რგოლები, სადაც მნიშვნელოვნად გაესვა ხაზი პოლიციისადმი დროულად მომართვის მნიშვნელობას და ასევე, თითოეულში მიეთითა პოლიციისადმი მომართვის გზების შესახებ ინფორმაცია.

სკოლის მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ კამპანიის თემატიკაზე დამზადებული ბრენდირებული ჩანთები და მაისურები, რომელთა დიზაინი შეიქმნა კამპანიის „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში ჩატარებული ნახატების კონკურსში გამარჯვებული ბავშვის ნახატის მიხედვით და ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია სამინისტროს მიერ

გამოცხადებული პოსტერების კონკურსის შესახებ. ამასთან, კამპანიის „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში ჩატარებული შეხვედრებისას, დამსწრე პირებს გადაეცათ კამპანიის თემატიკაზე დამზადებული 150 ცალი საინფორმაციო ხასიათის ბროშურა, სადაც განმარტებულია ვინ ითვლება ბავშვად, ასახულია ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული მძიმე შედეგების თაობაზე ინფორმაცია, მითითებულია პოლიციისადმი მომართვის გზები და სახელმწიფო სამსახურები, ვისაც მსგავს ფაქტებზე რეაგირების ვალდებულება გააჩნიათ.

კამპანიის ფარგლებში, ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ტელეკომპანია „იმედის“ დილის გადაცემაში ისაუბრა „ნუ წაართმევ ბავშვობას“ კამპანიისა და მის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

კამპანიის მიმდინარეობა ეტაპობრივად გაშუქდა სამინისტროს და დეპარტამენტის ოფიციალურ გვერდებზე, აგრეთვე, გავრცელდა ტელევიზიების და სააგენტოების მეშვეობით.

სამინისტროს მიერ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის“ 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტმა, 2025 წლის აპრილისა და მაისის თვეში, სამინისტროს კორესპონდენციის მიღება/გაგზავნაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ, რასაც ჯამში დაესწრო 32 თანამშრომელი.

- <u>სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი</u>

10 ივნისი - სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა, დასავლეთ საქართველოს რეგიონული განყოფილების ბაზაზე, სუფსაში, ი. ჯავახიშვილის სახელობის ქ. ფოთის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლეს. დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოსწავლეებს დანაყოფის

დანიშნულება და მისი მუშაობის სპეციფიკა გააცნეს. მოსწავლეებისათვის ბაზის ტერიტორიაზე მოეწყო გამოფენა, სადაც წარდგენილი იყო სხვადასხვა ტიპის სპეციალური ტრანსპორტი და ტექნიკა, ასევე, სამთო და სამხედრო აღჭურვილობა. რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა სპეციალური სამთო-სამაშველო უნარ-ჩვევებისა და ეჭვმიტანილების დაკავების ტექნიკის დემონსტრირება მოახდინეს.

აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე.

- <u>საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი</u>

საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესის შესახებ ბავშვების ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (SATCEHS)“ ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის დაიბეჭდა დამატებით 11,500 ეგზემპლარი საბავშო წიგნი - „მოემზადე საგანგებო სიტუაციებისთვის მაშველ ტინტოსთან ერთად“.

- <u>საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</u>

7 ივნისი - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველების ხელმძღვანელობით, ეროვნული გვარდიის 40 რეზერვისტისთვის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიმართულებით, თეორიული და პრაქტიკული გადამზადების კურსი ჩატარდა. ტრენინგის თეორიული ნაწილის ფარგლებში, რეზერვისტებს მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა საგანგებო სიტუაციის დროს ქცევის წესების შესახებ. პრაქტიკულ ნაწილში კი, მსმენელებმა სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის გამოყენებით ხანძრის ქრობაზე რეაგირების მოქმედებები შეისწავლეს. აღნიშნული სწავლება მიზნად ისახავს უწყებათშორისი თანამშრომლობის გაძლიერებასა და კოორდინირებული ქმედებების გაუმჯობესებას, ასევე, სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების დროს რეაგირების უნარების განვითარებას.

აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე.

- <u>სასაზღვრო პოლიცია</u>

29 მაისი - სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვისა და სანაპირო დაცვის დეპარტამენტების თანამშრომლებმა ქალაქ ბათუმში, ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის ინიციატივით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

ღონისძიების ფარგლებში, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები სკოლის დაწყებითი კლასის (I-VI) მოსწავლეებს შეხვდნენ და სასაზღვრო პოლიციის შესახებ საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის გაკვეთილი ჩაუტარეს. ბავშვებმა მესაზღვრეებისგან როგორც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებით, ასევე, სანაპირო დაცვის როლზე ბევრი საინტერესო ინფორმაცია, სასარგებლო რჩევა და რეკომენდაცია მიიღეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა მოსწავლეებს ამომწურავი პასუხები გასცეს.
აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა სასაზღვრო პოლიციის ოფიციალურ ვებგვერდსა და ფეისბუქის გვერდზე.

- <u>სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“</u>

19 მაისი - „112“-მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის 80-მდე იუნკერს უმასპინძლა. სტუმრები „112“-ის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ, ასევე, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მართვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ მიიღეს ინფორმაცია.
აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე.

1 ივნისი - „112“-მა 2 მოზარდს „112-ის გმირის“ წოდება მიანიჭა. მოზარდებმა ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ წუთებში სხვა ადამიანების გადასარჩენად გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს. პროექტი „112-ის გმირი“ 2016 წლიდან ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, ყოველ წელს ჯილდოვდებიან ის მოზარდები, რომლებმაც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს და კარგად იციან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში.
აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა „112“-ის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

17 ივნისი - პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ ფარგლებში, თებერვალ-ივნისში „112“-ს საჯარო და კერძო სკოლების 1700-ზე მეტი მოსწავლე ეწვია. „112“-ის წარმომადგენლებმა მოზარდებს გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები გააცნეს. მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ მსგავსი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლონ „112“-ის ოპერატორთან. მოზარდებს, ასევე, განემარტათ არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეები და სანქციები, რომლებიც ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაშია გათვალისწინებული.

აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.